



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 ივლისი 2025



N 387/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, შპს „სამგორი ველი“-ს გაჯის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „სამგორი ველი“-ს (ს/კ: 226566276) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 18 თებერვალს წარმოდგენილი იქნა (წერილი N1490) გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, შპს „სამგორი ველი“-ს გაჯის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შემდგომ - გზშ) და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N91/ს, 26.02.2025; ბრძანება N324/ს, 20.06.2025), შესაბამისი უწყებების გზშ-ს ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ზეციხელი 2010“-ის მიერ.

2010 წლის 13 ოქტომბერს, შპს „სამგორი ველი“-ს გაჯის წარმოებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N74 (13.10.2010) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო აღნიშნული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 27/05/2021 წ. N2-763 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2024 წლის 20 ივნისს, შპს „სამგორი ველი“-ს მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, შპს „სამგორი ველი“-ს გაჯის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N45; ბრძანება N398/ს, 01.08.2024).

2022 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „სამგორი ველი“-ს გაჯის საწარმოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, შედგა ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმები (N071300; N071302), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76¹ მუხლის, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის და 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს 2022 წლის 28 სექტემბრის N4/453-22 დადგენილებით კომპანია ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად. ასევე, 2024 წლის 2 ივლისს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, სამართალდამრღვევის მიმართ შემუშავდა შესაბამისი ადმინისტრაციული მიწერილობები (N003926, N003927).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის (წერილი N21/4232, 06.05.2025 წ.) საფუძველზე, შპს „სამგორი ველი“-ს მიერ 2025 წლის 18 ივნისს პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა (წერილი N6095) დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაკორექტირდა და თავიდან იქნა წარმოდგენილი, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N408 დადგენილებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი“ განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით დაზუსტდა ზდგ-ის ნორმები თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის, გაანგარიშების 5-წლიანი პერიოდისთვის, განისაზღვრა ტერიტორიის გამწვანების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის განხორციელების მიზნით პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად) ფორმების წარმოებისა და წლიური ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენის საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმო მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში, შპს „სამგორი ველი“-ს საკუთრებაში არსებულ 1721 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 84.07.14.094, ტერიტორიის GPS კოორდინატები: X-499352, Y-4606917; X-499400, Y-4606903; X-499391, Y-4606875; X-499353, Y-4606886; X-499346, Y-4606862; X-499337, Y-4606864). საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილო-დასავლეთით, 700 მეტრში მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი, სამხრეთ-დასავლეთით - 780 მეტრში - რკინიგზა, 650 მეტრში - თბილისის შემოვლითი გზა, საწარმოს სამხრეთით, მომიჯნავედ - შპს „ელფიას“ (ს/კ 81.07.14.092) და შპს „დათა“-ის (ს/კ 81.07.14.093) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (საწარმოს/შენობის ნანგრევებით), 340 მეტრში - შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგის“ სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის საწარმო, 240 მეტრში - ა(ა)იპ „საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების“ ადმინისტრაციული შენობა (ს/კ 81.07.14.213), შპს “ოლმონტ ინვესტმენტ თბილისის” საკუთრებაში არსებული უმოქმედო ობიექტი, ყოფილი გამარჯვების მეფრინველეობის ფერმის ნაწილი (ს/კ.: 81.07.14.265) - 240 მეტრში, სალიპ ედის საკუთრებაში არსებული უმოქმედო ობიექტი, ყოფილი გამარჯვების მეფრინველეობის ფერმის ტერიტორიის ნაწილი (ს/კ 81.07.14.078 - 290 მეტრში; ს/კ.: 81.07.14.077 - 490 მეტრში). ასევე, ცხრლის სახით არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოდან 500-მეტრის რადიუსის საზღვარზე არსებული ობიექტების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მდ. მტკვარი საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 3 კმ-ით. საწარმოდან აღმოსავლეთით, 3 კმ-ში გადის ახალი სამგორის სარწყავი არხი, აღმოსავლეთით, 80 მეტრში - დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე გადის წყალსაწრეტი არხი, სამხრეთით, 260 მეტრში მდებარეობს ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 81.07.14.108), სამი ხელოვნური ტბორით.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია არაქმედების, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიური და მტვერდამჭერი სისტემის ალტერნატიული ვარიანტები.

საქმიანობის განხორციელება და წარმადობის ზრდა დასაბუთებულია ხარისხიან სამშენებლო პროდუქციაზე ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნით, საწარმოში არსებული ტექნოლოგიის უპირატესობა (მბრუნავ დოლში ნედლეულის თანაზომიერად, 130-180°C გამოწვით) - მიღებული პროდუქციის მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით. საწარმოს განთავსების ალტერნატიული ტერიტორიის განხილვა უგულვებელყოფილია საწარმოს სხვა ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში მშენებლობით და ძველი საწარმოს დემონტაჟით გარემოზე დამატებითი უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორით, ხოლო ციკლონის ტიპის აირმტვერდამჭერი სისტემის უპირატესობა დასაბუთებულია ტექნოლოგიური და ეკონომიკური ეფექტურობის ფაქტორით.

არსებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანია წლის განმავლობაში აწარმოებს 6240 ტონა (3 ტ/სთ) გაჯს. საწარმოს სამუშაო დრო განისაზღვრება, წლის განმავლობაში 260 სამუშაო დღით და 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით (დღეში 24 ტ).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კომპანიას ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საწარმოს გადაიარაღების (მოძველებული გაზის საქშენებისა და ცხავის შეცვლით), სამუშაო საათებისა (8 საათის ნაცვლად - 16 სთ) და დღეების გაზრდით (260 დღის ნაცვლად - 330 დღემდე) დაგეგმილი აქვს საწარმოს მიერ წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის გაზრდა 6240 ტონიდან 15 840 ტონამდე. წარმოების ზრდის შესაბამისად, გათვალისწინებულია წლის განმავლობაში 312 000 მ³ ბუნებრივი აირის ნაცვლად 633 600 მ³ ბუნებრივი აირის მოხმარება. ასევე, 1 ტონა გაჯის წარმოებისთვის 1.15 ტ ნედლეულის ნაცვლად - 1.25 ტონა ნედლეულის (თიხა-თაბაშირი, ნედლეულში კენჭების/ქვების გათვალისწინებით) მოხმარება. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ საწარმოში დასაქმდება 10 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, რომლის შესაბამისად, გაჯი მიიღება თიხისა და თაბაშირის ბუნებრივი ნარევის გამოწვით 130-180°C ტემპურატურაზე. საწარმოს ნედლეულით მომარაგება დაგეგმილია შპს „სამგორი ველი“-ს ლიცენზირებული კარიერებიდან (ლიცენზია N1003843, ლიცენზია N1001333, ლიცენზია N01022, ლიცენზია N100019), ავტოთვითმცლელელების საშუალებით. ნედლეულის დასაწყობა გათვალისწინებულია ნედლეულის მიმღებ მოედანზე, რომელიც ბუღდოზერით მიეწოდება მიმღებ ბუნკერს. ბუნკერიდან ნედლეული 4 მ სიგრძის ლენტური ტრანსპორტორით გადადის მბრუნავ დოლურ ლუმელში, რომელსაც მიეწოდება ბუნებრივი აირი. წარმოებული პროდუქცია დოლური ლუმელიდან ცხავის გავლით გადადის მზა პროდუქციის ბუნკერში, ხოლო ქვები და კენჭები - მისთვის განკუთვნილ ბუნკერში. მზა პროდუქციის დაფასოება გათვალისწინებულია ტომრებში, ბუნკერიდან გამომავალი მილით. პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდება მოხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო (დოლური ლუმელი) აღჭურვილია ორსაფეხურიანი (პირველი საფეხური - დამლექი კამერა, 20% ეფექტურობით, მეორე საფეხური - ციკლონი, ეფექტურობა 90%) მტვერდამჭერი მოწყობილობით. მტვერდამჭერ მოწყობილობაში გაწმენდის შემდეგ აირმტვერნარევი გაიფრქვევა ატმოსფეროში 16 მეტრი სიმაღლის და 0,6 მ დიამეტრის მილით. პროექტის შესაბამისად, ციკლონში დაგროვილი მტვრის დაბრუნება გათვალისწინებულია მბრუნავ დოლში გამოსაწვავად, ხოლო დამლექ კამერაში დაჭერილი მასა წარმოადგენს გაჯის პროდუქციას, რომელიც გადავა პროდუქციის ბუნკერში. მტვერდამჭერი მოწყობილობის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში პროექტი ითვალისწინებს წარმოების პროცესის გაჩერებას, გაუმართაობის აღმოფხვრამდე.

საწარმოს ნედლეულით (წლის განმავლობაში 19 800 ტ) მომარაგება გათვალისწინებულია დღის საათებში - დღეში 10 სატრანსპორტო ოპერაცია. საწარმოდან ტომრებში შეფუთული პროდუქციის გატანა ხდება შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ხოლო ნაყარი პროდუქციის - მარაგადახურული ავტოთვითმცლელებით. საწარმო თბილისის შემოვლით გზასთან დაკავშირებულია 650 მეტრი სიგრძის გრუნტის გზით. ასევე კარიერებთან დაკავშირებულია გრუნტის გზით, რომლებიც არ გადის დასახლებულ პუნქტებში. საჭირო ნედლეულით საწარმოს მომარაგება ხდება მის მიმდებარედ არსებული კარიერებიდან, თბილისის შემოვლით გზისთვის და მოსახლეობისთვის გვერდის ავლით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გატანისთვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა სატრანსპორტო ნაკადზე გავლენას ვერ მოახდენს. პროექტით გათვალისწინებულია გრუნტის გზების სისტემატურად მოხრეშვა, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუბრკოლებლად გადაადგილებისა და ამტვერების თავიდან აცილების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. ასევე, ნედლეულის დასაწყობების ადგილის დასანამად. ამტვერების თავიდან არიდების უზრუნველსაყოფად. წყალაღება ხდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 50 მ³ მოცულობის წყლის გამოყენება. სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის მოხმარებული წყლის წლიური ხარჯი შეადგენს 148.5 მ³-ს. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ბეტონის საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვა გათვალისწინებული პერიოდულად, საასენიზაციო მანქანით.

გზმ-ის ანგარიშის და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წლის განმავლობაში სანიაღვრე წყლების რაოდენობა შეადგენს 508,38 მ³-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წარმოების პროცესში ბუნებრივი ნედლეულის (თიხა) გამოყენების, თიხა-თაბაშირის კარიერების სიახლოვეს მდებარეობის, საწარმოს სანიაღვრე წყლების მოცულობის და მისი ბუნებრივი ნედლეულით (თიხა-თაბაშირის შეწონილი ნაწილაკები) დაბინძურების საკითხების გათვალისწინებით, პროექტი სანიაღვრე წყლების გამწმენდი სალექარის მოწყობას არ ითვალისწინებს.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. ზდგს-ს ნორმების პროექტის გაანგარიშების ნაწილში იდენტიფიცირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 7 (შვიდი) სტაციონარული წყარო. დოკუმენტაციაში ასევე ასახულია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები (საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული მტვერი $SiO_2 < 20\%$ შემცველობით, აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი).

გაზნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონურ მაჩვენებლებად გათვალისწინებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სიდიდეები, ახლომდებარე შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგის“ ინსინერატორიდან არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, საწარმოდან 500 მეტრის რადიუსის საზღვარზე, მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს (მაქსიმალური კონცენტრაცია არაორგანული მტვერი 20% SiO_2 , ზდგ-ს წილი შეადგენს 0,67 მგ/მ³) არ აჭარბებს. შესაბამისად, წარმოდგენილ ანგარიშზე დაყრდნობით, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად.

წარმოდგენილი მასალების განხილვის საფუძველზე ვლინდება, რომ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების თანახმად, შპს „სამგორი ველი“-ს გააჩნია გაჯის საწარმოში დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი განსაზღვრის ვალდებულება. კერძოდ, კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს გაჯის გამოსაწვავი დანადგარი. ხმაური ასევე წარმოიქმნება ჩამტვირთველის და თვითმცლელის მუშაობისას. ხმაურის გავრცელების გაანგარიშება ჩატარებულია ხმაურის გამომწვევი სამივე წყაროს ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში, რომელთა მუშაობისას ხმაურის ჯამური დონე შეადგენს 88 დბა-ს. გზშ-ის ანგარიშში ცხრილის სახით წარმოდგენილია ინფორმაცია ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეებისა და ბგერითი სიმძლავრის დონეების შესახებ. განხილულია როგორც ბგერის გავრცელების სიჩქარის ურთიერთქმედება ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ასევე, ბგერის ჩახშობის საკითხი, რელიეფის და ჰაერის ტენიანობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი გაანგარიშების შესაბამისად, საწარმოდან 300 მეტრში ბგერითი სიმძლავრის დონეა 30,46 დბა, რაც არ აჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმას. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაანგარიშების შედეგად მიღებული ხმაურის დონეების დაცვის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ისეთი შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა მკაცრი კონტროლი სატრანსპორტო საშუალებებისა და საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარების ტექნიკურ გამართულობაზე, ნედლეულის და მიღებული პროდუქციის დღის საათებში ტრანსპორტირებაზე და სხვ.

გზშ-ის ანგარიშში მოიცავს ინფორმაციას საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეების, რაოდენობისა და მათი მართვის შესახებ. პროექტის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, წლის განმავლობაში, წარმოიქმნება 7.3 მ³ საყოფაცხოვრებო, 2500 ტონა ინერტული ნარჩენი (კენჭები). როგორც აღინიშნა, საწარმოს ფუნქციონირების დროს, მტვერდამჭერი სისტემის დამლექ კამერაში დალექილი მასა - გაჯის პროდუქცია გადადის პროდუქციის ბუნკერში, ხოლო ციკლონში დაჭერილი გაჯის მტვერი ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. წარმოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენის ნაწილის გამოყენება გათვალისწინებულია კარიერების ამოსავსებად და შიდა გზების მოსახრებლად, ხოლო ნაწილი, მოთხოვნის შემთხვევაში, ნედლეულის სახით გადაეცემა სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროს. დოკუმენტში განხილულია სახიფათო და ფერადი ლითონის ნარჩენის მართვის საკითხიც. საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და მართვის მიზნით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიისთვის გადაცემა.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, გარდაბნის აღკვეთილი საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 16 კმ-ით, ხოლო უახლოესი ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია -დაახლოებით 4,5 კილომეტრით. საწარმოს განთავსების ტერიტორია ათწლეულების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპიური ტექნოგენური ლანდშაფტი. ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით, სადაც სარეველებთან და მარცვლოვნებთან ერთად, იზრდება სწრაფად მზარდი მცენარეები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ბიოლოგიურ გარემოზე

ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილია საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრის გამწვანება. ასევე, შემარბილებელი ღონისძიებები (სინათლის გავრცელების შემცირება, მიმართული შუქის მინიმალური განათების გამოყენება, ნარჩენების სათანადო მართვა და სხვ.).

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების რისკები (ნარჩენების არასწორი მართვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა), შემუშავებულია შემარბილებელი ღონისძიებები (ნარჩენების სწორი მართვა, სატრანსპორტო საშუალებების გამართულობაზე კონტროლი, ავარიული/შემთხვევითი დაღვრების დროს მყისიერი რეაგირება და სხვ.), რომელთა გატარებაც გარემოზე ზემოქმედების რისკებს შეამცირებს.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია ზემოქმედება როგორც ზედაპირული წყლის ობიექტებზე, ასევე მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე (საწარმოდან ჩამდინარე წყლების ან/და წვიმის შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ჩაშვება). წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვინაიდან პროექტით წყლის საწარმოო მიზნებისთვის გამოყენება დაგეგმილი არ არის, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების სპეციალური ბეტონის ორმოში ჩაშვება, საწარმოს სანიაღვრე წყლების მოცულობა და მისი ბუნებრივი ნედლეულით (თიხა-თაბაშირის შეწონილი ნაწილაკები) დაბინძურება ამცირებს ზედაპირული წყლების და მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ზემოქმედების რისკებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ გამოვლენილა. ვინაიდან საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას არ ითვალისწინებს, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და გეოდინამიკური საფრთხეების განვითარების რისკები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (არაორგანული მტვერი, წვის პროდუქტები) ემისიებზე, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გაბნევის ანგარიში შესრულებულია საწარმოს სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით, სადაც ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების მიზნით გათვალისწინებულია მიმდებარედ (340მ) არსებული, შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი“-ს გაფრქვევის მონაცემები. არსებული მდგომარეობის და პირობების გათვალისწინების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მისი განთავსების ტერიტორიიდან 500-მეტრიანი ზონის საზღვარზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს არ გადააჭარბებს.

საწარმოს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით, შეფასებული იქნა ხმაურის დონეები საწარმოს 500-მეტრიან რადიუსში (3540 მ) მდებარე საწარმოს - შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგი“-სთან მიმართებაში. გაანგარიშების შედეგების მიხედვით, ყველაზე უარესი სცენარის პირობებში (როცახმაურის გამომწვევი ყველა ობიექტი ერთდროულად იმუშავებს), ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს არ გადააჭარბებს.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება და ცენტრის ყველა გამომწერისთვის გაგზავნა, ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 7 აპრილს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „სამგორი ველი“-ს, საკონსულტაციო კომპანია შპს „ზეციხელი 2010“-ის და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების კითხვები ეხებოდა საწარმოს ნედლეულით მომარაგების, შიდა მისასვლელი გზების გამოყენების, საწარმოს წყლით მომარაგების, სატრანსპორტო ნაკადების, გზის ამტვრევის, კენჭოვანი ფრაქციის მოცულობის, კარიერის შევსების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წლიური გაფრქვევის მატების, საწარმოს სიახლოვეს მდებარე წყალშემკრები ტბორების დაბინძურების, წიაღისეულის მოპოვების დროს ამტვრევის საკითხებს, რაზეც საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლის მიერ გაკეთდა შესაბამისი განმარტებები. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული საკითხები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მეორე დანართის 5.4. ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, შპს „სამგორი ველი“-ს გაჯის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „სამგორი ველი“ ვალდებულია:
 - ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) უზრუნველყოს გაჯის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელის გაფრქვევის მილზე მტვერის გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი განსაზღვრა, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;

დ) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ყოველკვარტალური მონიტორინგის წარმოებასთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), დამატებით მოცემული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები დასახლებული პუნქტის მიმართულებით, საწარმოდან 500 მეტრიან საზღვარზე (მონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების, სიხშირის (კვარტალში ერთხელ), შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატების მითითებით). გეგმა დამატებით უნდა მოიცავდეს გაჯის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელის გაფრქვევის მილზე აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის ოქსიდის პერიოდული (ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან ერთი წლის მანძილზე, თვეში ერთხელ) ინსტრუმენტული მონიტორინგის და შედეგების სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებას, დანადგარის სრული დატვირთვის პირობებისთვის (სრული დატვირთვის შესაბამისი დოკუმენტალური დასაბუთებით). იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგები მოექცევა საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-6 დანართში მოცემულ დიაპაზონებში, უზრუნველყოს უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება აღნიშნულ კომპონენტებზეც. მონიტორინგი განხორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

ე) უზრუნველყოს საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (კვარტალში ერთხელ) მავნე ნივთიერება მტვერ (TSP)-ზე განხორციელებული ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად);

ვ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება, ხოლო ნარჩენების მართვა განხორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ზ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

თ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სამგორი ველი“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სამგორი ველი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/387-21-4-202507251756>

